

ქალთა რეაბილიტაციის ასოციაციის
I საერთაშორისო კონფერენციის მასალები

**MATERIALS OF THE 1-ST INTERNATIONAL CONFERENCE OF
"WOMEN'S REHABILITATION ASSOCIATION"**



“ჯანმრთელი ოჯახი, ჯანმრთელი ორსული,
ჯანმრთელი შთამომავლობა”

**"HEALTHY FAMILY, HEALTHY PREGNANT WOMAN,
HEALTHY CHILD"**

თბილისი, 29 სექტემბერი 2012
TBILISI, 29 SEPTEMBER 2012



ვენუს ჯინჯიას

სამედიცინო-გინეკოლოგიური
რეაბილიტაციის ცენტრი

Venus Georgia

OBSTETRIC-GYNECOLOGY
REHABILITATION CENTRE

მობ./mob.: (+995) 599 624 300
ტელ./ tel.: (+995 32) 2 91 01 58

E-mail: venusgeorgia@gmail.com
www.venusgeorgia.ge

წინამძღვრიშვილის ქ. № 104/2
104/2 Tsinamdzghvishvili St., Tbilisi

დიფლუკანი

სისტემური მოქმედების ანტიმუცოვანი პრეპარატი



გამოყენების ჩვენება:

- ოპორტუნისტული მიკოზები
- გინეკოლოგიური კანდიდოზები
- კრიპტოკოკი
- ლურთვანის, პირის, ხახის და გრომოდ-პულვონალური კანდიდოზი
- გენიტალური კანდიდოზი
- კანის მიკოზები
- კანდიდური ინფექციები
- ღრმა მიკოზები

დალასინი

ვაგინალური კრემი

(კლინდამისინ-ფოსფატი 2%, 20 გ)

ბაქტერიული ვაგინოზის უწყვეტური მკურნალობა

- მაღალი ეფექტურობა – 86%
- რეციდივის ნაკლები რისკი (მეტრონიდაზოლთან შედარებით)
- მოქმედების ფართო სპექტრი
- ინფექციის კერაზე პირდაპირი ზემოქმედება

ბაქტერიული ვაგინოზის უსაფრთხო მკურნალობა

- სისტემური აბსორბციის დაბალი მაჩვენებელი (<4,3%);
- კანდიდოზური ვულვოვაგინიტის განვითარების დაბალი რისკი;
- საშოს ნორმალური მიკროფლორის სწრაფი აღდგენა (1 თვეში);
- ორსულობის II – III ტრიმესტრში უსაფრთხო გამოყენება



ინფორმაციისთვის დარეკეთ:
2 25 29 86, 2 25 26 80



ნაქსოჯინი



500 მგ. ტაბ (ნიმორაზოლი)

ნაქსოჯინი - ნიტრომიმდაზოლების ჯგუფის წარმომადგენელია, რომელსაც გააჩნია Trichomonas vaginalis და სხვა უმარტივესებები (Giardia intestinalis, entamoeba histolytica) მიმართ მაღალი აქტივობა. ნაქსოჯინის მიმართ ასევე მგრძობიარეა ანაერობული ბაქტერიები, კერძოდ - Bacteroides, Gardnerella vaginalis.

გამოშვების ფორმა: 500 მგ, 6 ტაბლეტი შეფუთვაში.
ჩვენებები: ვაგინალური ტრიქომონიაზი; ლამბლიოზი, ამებიოზი, გარდნერელათი გამონეული ვაგინოზი და მწვავე წყლულოვანნეკროზული გინგივიტის.

დოზირება და მიღების წესები:
ტრიქომონიაზის მკურნალობა: მოზრდილები:


- ა) ერთჯერადი მიღება - 2გ ერთხელ;
 - ბ) 24სთ-იანი სექმა - 1გ ყოველ 12 სთ-ში;
 - გ) 250მგ 2-ჯერ დღეში 6 დღის განმავლობაში; ბავშვებში:
 - რეკომენდებული სადღეამისო დოზა - 15 მგ/კგ წონაზე სამჯერად მიღებაზე 5-7 დღის განმავლობაში.
- ამებიოზის მკურნალობა.** მოზრდილები: 500მგ 2-ჯერ დღეში 5-10 დღის განმავლობაში.
ბავშვებში: 20მგ/კგ 2-ჯერ დღეში, 5-10 დღის განმავლობაში.

ლამბლიოზის მკურნალობა: მოზრდილები: 500მგ 2-ჯერ დღეში, 1-7 დღე; ბავშვებში: 15მგ/კგ წონაზე ორჯერად მიღებაზე, 5-7 დღე; Gardnerella vaginalis-ით გამონეული ინფექციები: მოზრდილები:

- ა) 500მგ 2-ჯერ დღეში, 7 დღე.
- ბ) 2გ ერთჯერადად; მწვავე წყლულოვან ნეკროზული გინგივიტი: 500მგ 2-ჯერ დღეში 2დღე. პრეპარატის მიღება საჭიროა ქამის შემდეგ.

გვერდითი მოვლენები: იშვიათად - გულმძარვა, გულსრევა, კანზე გამონაყარი, თავბრუსხვევა, ძილიანობა.

უკუჩვენებები: ჰიპერმგრძობელობა პრეპარატის რომელიმე კომპონენტის მიმართ; ღვიძლისა და თირკმლის მწვავე უკმარისობა; ცნისა და სისხლის დაავადებები; ორსულობა, მკურნალობის პერიოდში ალკოჰოლის მიღება აკრძალულია.



CEFANORM

პროლაქტინის დონის მარეგულირებელი საშუალება



ჰიპერპროლაქტინემია:

- პრემენსტრუალური სინდრომი
- მენსტრუალური ციკლის დარღვევები
- ევითელი სსეულის უკმარისობა, უნაყოფობა
- გალაქტორეა
- მასტოდინია, მასტოპათია...

გააქვეთ სწრაფი ანჩევანი!

ცეფანორმი, 1 კაფსულა ერთჯერ დღეში. მკურნალობის კურსი - 3 თვე.

- ფიტოპრუპინი, უსაფრთხო და ეფექტური
- აქვს დოფამინერგული ეფექტი
- ამცირებს პროლაქტინის მომატებულ დონეს
- მოსახერხებელი დოზირება (დღეში მხოლოდ ერთჯერ)
- არ სჭირდება დოზის კორექცია წონასთან დაკავშირებით
- არ აღიზიანებს კუჭ-ნაწლავის ტრაქტს




გამოშვების ფორმა:
კაფსულები №30

Cefak Kempten/Germany



უნაზინი

(სულაქტამი/ამპიცილინი -სულტამიცილინი)



პენიცილინის ჯგუფის ანტიბიოტიკის-ამპიცილინის და β-ლაქტამაზას ინჰიბიტორის-სულაქტამის კომბინირებული პრეპარატი

მოქმედების მექანიზმი

პრეპარატი ნაწლავის სანათურში იშლება ამპიცილინად და β-ლაქტამაზას ინჰიბიტორად -სულაქტამად. ამპიცილინის ბაქტერიოციდული მოქმედება მიკროორგანიზმების პროლიფერაციის დროს უჯრედის გარსის ბიოსინთეზის დათრგუნვის გზით ხდება. სულაქტამი აინჰიბირებს ბაქტერიის მიერ სინთეზირებულ β-ლაქტამაზას და ამგვარად აძლიერებს ამპიცილინის ეფექტს

ჩვენებები

- სასუნთქი გზების ინფექციები
- პიელონეფრიტი
- მუცლის ღრუს ინფექციები
- ბაქტერიული სეფსისი
- კანის, ძვალ-სახსროვანი სისტემის და რბილი ქსოვილების ინფექციები
- მუცლის ღრუს და მცირე მენჯის ორგანოების პოსტოპერაციული ინფექციების პრევენცია

გამოშვების ფორმა

- 0,75 გ, 1,5 გ და 3 გ ფლაკონები საინექციო ხსნარის მოსამზადებლად. 375 მგ ტაბლეტები.

დოზირების რეჟიმი

- მოზრდილებში: დაავადების სიმძიმის გათვალისწინებით -1,5-12 გ/დღეში, გაყოფილი 2-4 დოზად ყოველ 6-8სთ-ში, ინფექციის მსუბუქი ფორმების შემთხვევაში -12სთ-ში ერთხელ
- ბავშვებში: 150 მგ/კგ 24 საათში, გაყოფილი 2 თანაბარ დოზად ,12სთ-ში ერთხელ

უკუჩვენებები

ჰიპერმგრძობელობა პენიცილინის ჯგუფის ანტიბიოტიკების მიმართ

TRANESTAT

Tranexamic acid

ანტიფიბრინოლიზური საშუალება

შემადგენლობა:

ყოველი ტაბლეტი ან 5 მლ-ანი ამჟღავნებს 500 მგ ტრანექსამის მჟავას

ჩვენებები:

- სისხლდენის პრევენცია ქირურგიული ოპერაციის დროს.
- მშობიარობის შემდგომი სისხლდენების მკურნალობა და პრევენცია.
- საშვილოსნოს ყელის კონიზაცია.
- პირველადი ან საშვილოსნოს შიდა ჩასახვის საწინააღმდეგო საშუალებით ინდუცირებული მენორაგიის მკურნალობა.



ასაკი	მიღების წესი	დოზირება	ჯერადობა
მოზრდილები	პერორალური	1-1,5 გ (ან 15-25 მგ/კგ)	დღეში 3 ჯერ
	ნელი ინტრავენური ინექცია	0,5-1 გ (ან 10-15 მგ/კგ)	დღეში 3 ჯერ
	შუქვეტი ინტრავენური ინფუზია	25-50 მგ/კგ-ზე	დღის განმავლობაში



მწარმოებელი: Amoun Pharmaceutical Co. SAL ელ-უბურ სიტი, კაირო, ეგვიპტე.



Inestom

L-carnitine 1g

- **ინესტომი (L-კარნიტინი)** არაპორმონული ანაბოლიკია. ცხიმოვანი მჟავების წვით უზრუნველყოფს ატფ-ის გენერაციას ორგანიზმისთვის ენერგეტიკულად ყველაზე მაღალეფექტური გზით. მორეს მხრივ ცხიმოვანი მჟავები მობილიზდება და აღარ ხდება მათი კუმულაცია ცხიმოვან ქსოვილებსა და ათეროსკლეროზულ ფოლაკებში. ამავე დროს იზოგება გლუკოზა ნერვული ქსოვილისთვის და ცილები – ანაბოლური პროცესებისთვის. ხელს უწყობს ქსოვილების მიერ ჟანგბადის უტილიზაციას, აქვს ანტიბიპერთიროსული მოქმედება, ამცირებს ინსულინრეზისტენტობას.

ჩვენებები:

- ზოგადი გადაღლა, შრომისუნარიანობის დაქვეითება
- ნაყოფის ჰიპოქსია, ჰიპოტროფია, ასფიქსიის შემდგომი პერიოდი
- ორსულთა ტოქსიკოზი, ორსულთა ნეფროპათია
- გესტაციური დიაბეტი.



საინექციო ამპულები №5



დასალევი მინის ფლაკონები №10



Chelp

იოდოფოლი



პალიუმის იოდოლი – 200 მკგ

ფოლის მჟავა – 400 მკგ

შეიტანს ორ უმნიშვნელოანეს ნუტრენტს - იოდსა და ფოლის მჟავას



ჯიზრებით უახშირე კოი
პოძაჯოისთაყის!

www.worldmedicine.ge

BIFLAZYM

Trypsin
Chymotrypsin

- **ბიფლაზიმი** სისტემური ფერმენტული პრეპარატია. ტრიპსინისა და ქიმოტრიპსინის ურთიერთსინერგისტული მოქმედება უზრუნველყოფს ბიფლაზიმის მაღალეფექტურობას.
- შეშუპების სწრაფი გაწოვის გამო აუმჯობესებს მიკროცირკულაციას და უზრუნველყოფს კომბინაციაში დანიშნული სხვა პრეპარატების მაქსიმალურად კოცენტრირებას ანთების კერაში.
- პროტეოლიზური მოქმედება უზრუნველყოფს ფიბროციტოზური წარმონაქმნების გაწოვას ან ზომაში შემცირებას. ფიბრინოლიზური აქტივობა განაპირობებს შეხორცებითი პროცესების პრევენციას.
- **აძლიერებს რა ნებისმიერი პრეპარატების ტროპიზმს პათოლოგიურ კერაში, ბიფლაზიმი უზრუნველყოფს მკურნალობის საუკეთესო გამოსავალს.**

ჩვენებები:

- მცირე მენჯის ანთებითინფექციური დაავადებები
- შარდ-სასქესო სისტემის ინფექციები
- მასტიტი, მასტოპათია, პოსტმასტექტომიური ლიმფედემა
- აუტომუნური თირეოიდიტი, ფიბროციტოზური ჩანარები ფარისებრ ჯირკვალში.



A Vita

Chelp



სო კოჯანს

ინფექციების

სამკურნალოდ

ფლუზამედი

ფლუპონაზოლი

200 მგ/100 მლ
200 მგ
150 მგ
50 მგ



www.worldmedicine.ge

ორციპოლი

ციპროფლოპსატინი 500 მგ
ორნიდაზოლი 500 მგ

კომბინირებული ანტიბაქტერიული
და ანტიპროტოზოული პრეპარატი

**შეხედი
ინფექციების
წინააღმდეგ!**



www.worldmedicine.ge



მიკოსისტი® 150 მგ

ფლუკონაზოლი

**მწვავე ვაგინალური
კანდიდოზის
ეფექტური
სწრაფი
უსაფრთხო
მკურნალობა**



გელენ რისგერი

*ერთი ჭაფუჭაა და
ჭვწაყ უწრინდაოში ცხიყრესა*

მეტაკარტინი

L-კარნიტინი

*ეკუზბოლოუნი თ უწაბიის
ზაუთონალოუნი აზბუკანი*



www.worldmedicine.ge

ანტიმიკოზური ვაგინალური კრემი

ბინოფორტი

ბუტოკონაზოლის ნიტრატი

ბრემფორტი

**ერთი
ღოჭი**



გამოყენება შესაძლებელია დღის ნებისმიერ
დროს, ვინაიდან პრეპარატის ბიოაღებური
ტექნოლოგია გამოირჩევა გამოღვრის რისკს
და უზრუნველყოფს ეფექტურ მკურნალობას.



გელენ რისგერი

ღია ს.ს. „გელენ რისგერი“, წარმომადგენლობა საქართველოში;
თბილისი, კანდელაკის ქ.ბ. ტელ./ფაქსი: 2371100; 2377100

პატენტექს ოვალ®

არაჰორმონული ჩასახვის საწინააღმდეგო საშუალება

უსაფრთხო ეონსახვისი
ქანებისათვის,
ჩემი პატენტექსი:

- იჩრევენ საიმედო ეონსახვის
- ახ სუხი ჰორმონული ეონსახვისების ხანგრძლივად გამოყენება
- სუხი ეონსახვისების გამოყენება მხოლოდ საჭიხოების შემთხვევაში
- ახ შეუძლიათ ჰორმონული ეონსახვისების მიღება



უბრალოდ სიყვარულად!

„გამაქან ჩემი სუნი“ თანამედროვე მრავალფეროვანი კონსახვისი საშუალებები

ლაქტინი
ეფემტუარი კონსახვისი
გამაქანი დღეობისათვის

- არ თრევენს ლაქტიციას

დოზირების რეჟიმი: 0,075გ

ნოვინი
გოგორიანი კონსახვისი

- ადრეული რეპროდუქციული ასაკი
- ანდროგენიზაციის სიმპტომები (კანის პრობლემები)

დოზირების რეჟიმი: 20მგ

ჩემი ულანი
გოგორიანი კონსახვისი

- ამორტიის შიშველი პრობლემები
- პროტროსული სინდრომი

დოზირების რეჟიმი: 20მგ

ლიონინი 20
გოგორიანი კონსახვისი

- ხანგრძლივი, კონსახვისი
- გენსახვისი ციკლის დარღვევები
- დამცირება

დოზირების რეჟიმი: 20მგ

ტიმინი
გოგორიანი კონსახვისი

- გენსახვისი ციკლის რეგულირება
- გენსახვისი სისხლდენები

დოზირების რეჟიმი: 20მგ

მაგნი
გოგორიანი კონსახვისი

- მარტივი დოზირება
- (1 ტაბლეტი დღეობის სტანდარტული ანტიდოზის განმარტება)

დოზირების რეჟიმი: 1,5მგ

ლი.ს.ს. „პატენტექსი“ ქართული რეპროდუქციული საშუალებები, თბილისი, კვლავი ქ. 8. ტელ.: 2971100, 2971100

ქალთა რეაბილიტაციის ასოციაციის მუშაობის ანგარიში

მანანა აბულაძე

ქალთა რეაბილიტაციის ასოციაციის პრეზიდენტი,
მედიცინის დოქტორი

ქალთა რეაბილიტაციის ასოციაცია ჩამოყალიბდა 2008 წლის 16 ივნისს, როგორც არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი. მოკლედ მოგახსენებთ რამ განაპირობა ქალთა რეაბილიტაციის ასოციაციის დაფუძნება.

ტერმინი "რეაბილიტაცია" შემოვიდა მედიცინაში იურისპრუდენციიდან, კერძოდ შუა საუკუნეებში საფრანგეთიდან. იგი პირველად გამოიყენა ფრანგმა კანონმდებელმა ბლენიანუსმა და ნიშნავდა უფლებების აღდგენას, უსაფუძვლო და დაუსაბუთებელი ბრალდებების მოხსნას და დაკარგული პატიოსანი სახელის აღდგენას.

XX საუკუნის დასაწყისში ტერმინი გამოყენებული იქნა იმ პირთა მიმართ, რომელთაც აღენიშნებოდათ ფიზიკური ნაკლი, რომელთა რიცხვმა იმ პერიოდში მოიმატა არსებული ომების და კატასტროფების შედეგად.

თანამედროვე გაგებით რეაბილიტაცია ეს არის სამკურნალო და პროფილაქტიკურ ღონისძიებათა კომპლექსი, რომელიც მიმართულია სხვადასხვა დაავადების შემდეგ პაციენტის მიერ დაკარგული შესაძლებლობების მაქსიმალურად სრულად აღდგენისკენ, შეზღუდული ცხოველყოფილობის სრული კომპენსაციისკენ. რეაბილიტაცია მოიცავს სამედიცინო-სამკურნალო, სოციალურ-ეკონომიურ, პედაგოგიურ და ფსიქოლოგიურ ღონისძიებებს.

ხოლო რაც შეეხება ასოციაციას, ის ლათინური სიტყვაა და გაერთიანებას ნიშნავს, რომელიც გახლავთ ფიზიკური ან იურიდიული პირების ნებაყოფლობითი გაერთიანება და ამავდროულად მასში გაერთიანებული პირები ინარჩუნებენ დამოუკიდებლობას. ასოციაციები იქმნება სამეცნიერო-ტექნიკური, სოციალური, სამედიცინო და სხვა საკითხების ერთობლივად გადაჭრის მიზნით. დღეს საქართველოში მოქმედი ასოციაციებია: მეან-გინეკოლოგთა და პერინატოლოგთა, ნეონატოლოგთა, ქალთა საერთაშორისო, ექიმ ქალთა საერთაშორისო, ფიზიოთერაპევტთა და სხვა.

მსოფლიოში გავრცელებული რეაბილიტაციის სახეებია:

1. ორთოპედიული,
2. ნევროლოგიური და ნეიროქირურგიული,
3. კარდიოლოგიური.

პათოლოგიური ორსულობის და მშობიარობის, აგრეთვე სამეანო-გინეკოლოგიური ოპერაციების შემდგომი პერიოდის (სამეანო-გინეკოლოგიური) რეაბილიტაცია, როგორც ცალკე ნოზოლოგიური ერთეული, გამოყოფილი არ არის. ევროპის ცალკეულ ქვეყანაში, მათ შორის საქართველოშიც, წარმოებს გინეკოლოგიურ დაავადებათა რეაბილიტაცია, ძირითადად სანატორიულ-კურორტული: მინერალური წყლებით, ტალახებით, როდონის აბაზანებით.

ჩვენს მიერ კი დაფუძნდა ქალთა რეაბილიტაციის ასოციაცია, რაც განაპირობა ქვემოთ განხილულმა გარემოებებმა.

სადღეისოდ საქართველოში თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვით მნიშვნელოვნად დაიხვეწა ქირურგიული ოპერაციების ტექნიკა, გინეკოლოგიურ დაავადებათა დიაგნოსტიკა და მკურნალობის საკითხები, ორსულობის და მშობიარობის მართვის ტაქტიკა, ამავდროულად გახშირდა რეპროდუქციული ასაკის ქალთა ქირურგიული კასტრაცია და სტერილიზაცია, მაღალია საკეისრო კვეთის ოპერაციების პროცენტი. ყოველივე ზემოთ თქმული ამძიმებს ისედაც ცუდ დემოგრაფიულ მონაცემებს, დღეს საქართველოში დანერგილია ლაპარასკოპიული ოპერაციები, გვყავს საკმაოდ კვალიფიციური ქირურგები, რომლებსაც შესწევთ სიცოცხლის გადარჩენის უნარი. მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ ყველაზე საუკეთესოდ, იუველირის სიზუსტით ჩატარებული ქირურგიული ოპერაციაც კი ვერ შეძლებს აღადგინოს პაციენტის ოპერაციამდელი მდგომარეობა ან მიუახლოვოს ამ მდგომარეობას, თუ პაციენტი არ ჩაიტარებს სრულფასოვან რეაბილიტაციის კურსს ოპერაციის შემდეგ.

ქალი დაბადებიდან მოხუცებულობამდე გაივლის ცხოვრების სხვადასხვა ეტაპს. ჩვენი აფორიაქებული სამყარო ძლიერი სტრესებით, ახალგაზრდების ემოციური და ფიზიკური გადატვირთვა ზიანს აყენებს ქალის ორგანიზმის ყველაზე მგრძობიარე რგოლს - რეპროდუქციულ სისტემას. ხშირია მენსტრუაციული ციკლის მოშლა, ხასიათის მკვეთრი და უმიზეზო ცვლილებები, გაღიზიანება და აგრესიულობა ე.წ "პრიტიკული დღეების" წინ და მის დროს. ახალი ოჯახის შექმნა, ორსულობა, დედობა გარკვეული ფიზიკური და ფსიქოლოგიური დატვირთვაა ქალისთვის. ცხოვრების ყოველი ახალი საფეხური ჰორმონების ცვალებადობის გამო ორგანიზმში იწვევს ორგანოთა მთელი რიგი სისტემების ფუნქციის შეცვლას. ამიტომ ფიზიოლოგიურად მიმდინარე პროცესების დროსაც კი კაცობრიობის სათუთი წარმომადგენელი - ქალი საჭიროებს ფიზიკურ, ფსიქოლოგიურ და სამედიცინო რეაბილიტაციას, რისი კულტურაც ჩვენს ქვეყანაში სამწუხაროდ თითქმის არ არსებობს.

დაფუძნების პირველი დღიდან ჩვენი საქმიანობა მიმართული იყო იმისკენ, რომ ექიმთა საზოგადოებაში დაგვემკვიდრებინა სამედიცინო, ფიზიკური და ფსიქოლოგიური რეაბილიტაციის აუცილებლობა გინეკოლოგიური დაავადებების განკურნების, სამეანო-გინეკოლოგიური ოპერაციების და პათოლოგიური მშობიარობების შემდგომ პერიოდში. სამეანო-გინეკოლოგიური რეაბილიტაციის ცენტრის "ვენუს ჯორჯია"-ს ბაზაზე ვინვევდით მეან-გინეკოლოგებს, რეპროდუქტოლოგებს, ფიზიოთერაპევტებს, ფსიქოთერაპევტებს, რეაბილიტოლოგებს, დერმატო-ვენეროლოგებს და იმართებოდა პოლემიკა ქალთა რეაბილიტაციის საკითხების ირგვლივ. პაციენტებთან ენყობოდა შეხვედრები, სადაც ვიზიარებდით მათ აზრს მშობელთა სკოლის და ჩატარებული რეაბილიტაციური ღონისძიებების შესახებ. ბოლო შეხვედრა პაციენტებთან ჩავატარეთ 2012 წლის 1 ივლისს, ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეს, მონვეული პატარები დაბადებამდე ჩვენი პაციენტები იყვნენ (ანტენატალური მეთვალყურეობა). თქვენ მათ ახლა ხედავთ ეკრანზე.

ქალთა რეაბილიტაციის ასოციაციის მიერ თავისი არსებობის 4 წლის განმავლობაში შესრულებული იქნა ორი რეტროსპექტული სამეცნიერო

შრომა: ექტოპიური ორსულობის და აბორტის შემდგომი პერიოდის რეაბილიტაცია. კონფერენციის პირველ განყოფილებაში თქვენ მოისმენთ ამის შესახებ.

ქალთა რეაბილიტაციის ასოციაციის პრეზიდენტი წარმოდგენილია სხვადასხვა მომიჯნავე სპეციალობის მაღალკვალიფიციური პროფესიონალებით. აქვე მინდა დიდიმადლობა გადავუხადო საქართველოს ა.კაკულიას სახ. ფიზიოთერაპევტთა ასოციაციის პრეზიდენტს, პროფესორ ნელი კაკულიას და პროფესორ დავით მეტრეველს ჩვენი ასოციაციის მხარდაჭერისთვის და დახმარებისთვის.

ქალთა რეაბილიტაციის ასოციაციის ძირითადი მიმართულებები და მიზნები:

1. სპეციალისტებისთვის ხელის შეწყობა, რათა მოახდინონ სამედიცინო-გინეკოლოგიური რეაბილიტაციის საკითხებზე კონსოლიდაცია,
2. საერთაშორისო პროფესიული კავშირების დამყარება,
3. მეან-გინეკოლოგების ინფორმირება თანამედროვე ტენდენციების შესახებ ქალთა რეაბილიტაციის საკითხების გარშემო,
4. სოციალური, პროფესიული და სამეცნიერო პროგრამების და პროექტების შედგენა, რომლებიც მიმართული იქნება დემოგრაფიული მაჩვენებლების განუხრელი ზრდისკენ.

მოსახლეობასთან მუშაობა:

1. მოსახლეობის ინფორმირება ქალთა რეაბილიტაციის საკითხების შესახებ,
2. ქალთა რეაბილიტაციის სფეროში გინეკოლოგიურ დაავადებათა პროფილაქტიკისა და ადრეული დიაგნოსტიკის მიზნით ადგილობრივი სპეციალისტების მონაწილეობით სოციალური აქციების მოწყობა,
3. მოსახლეობაში ტრენინგების პერმანენტულად ჩატარება, რომლის ძირითადი მიმართულება იქნება ოჯახის დაგეგმარება, არასასურველი ორსულობისგან თავის დაცვა, ოპტიმალური დროის შერჩევა შთამომავლობის გაგრძელებისთვის, სასურველი ბავშვის დაბადება - ყოველივე ეს კი ხელს შეუწყობს რეპროდუქციული ჯანმრთელობის გაუმჯობესებას.

ქალთა მხარდაჭერა, რომელთაც ესაჭიროებათ აღდგენითი თერაპიის კურსის ჩატარება:

1. მეან-გინეკოლოგის და ფსიქოლოგის მიერ კონსულტირება,
2. სამედიცინო, ფსიქოლოგიური და სოციალური რეაბილიტაცია,
3. სამედიცინო-სოციალური პროგრამების შედგენა, მიმართული რეპროდუქციული ასაკის ქალთა და ექიმ მეან-გინეკოლოგთა მენტალიტეტის შეცვლისკენ მოსახლეობის რეპროდუქციული ქცევის საკითხში, ცხოვრების ჯანსაღი წესის დანერგვა!
4. ფიზიკური მეთოდებით მკურნალობის კურსის ჩატარება (სამკურნალო ფიზკულტურის მეთოდების დანერგვა),
5. "ოჯახური" ანუ "საშინაო" რეაბილიტაციის მიმართულების აღორძინება (რეაბილიტაციის მე-4 ეტაპია სტაციონარული, სანატორიული და ამბულატორიულ-პოლიკლინიკური შემდეგ).

და ბოლოს ისმება კითხვა: რატომ ქალთა რეაბილიტაცია?

დღეს ძალიან ბევრი რამ კეთდება გენდერული თანასწორობისთვის, რაც წარმოადგენს მდგომარეობას, როდესაც ყველა ადამიანს აქვს თანაბარი უფლება, შესაძლებლობა და ანაზღაურება, მიუხედავად იმისა დაიბადა იგი ქალად თუ მამაკაცად.

მაგრამ ქალები და მამაკაცები ავად ხდებიან განსხვავებულად და მათი მკურნალობა უნდა ჩატარდეს სქესობრივი ნიშნით. პროფესორმა მარიანე ლეგატომ დააფუძნა გენდერული მედიცინის ახალი მიმართულება, რომელიც ითვალისწინებს ფიზიოლოგიურ განსხვავებას სქესებს შორის.

ისრაელის გენდერული მედიცინის ასოციაციის თავმჯდომარე, პროფესორი მარკ გლეზერმანი მოგვითხრობს საინტერესო შემთხვევის შესახებ, როდესაც ახალგაზრდა პაციენტს ეპილეფსიის დიაგნოზით, მიუხედავად ინტენსიური მკურნალობისა, აღენიშნებოდა ხშირი გულყრები, რის გამოც ექიმები ყოველთვის ერთ პრეპარატს მეორე პრეპარატით ცვლიდნენ. დეტალურად ანამნეზის შეკრებისას დადგინდა იქნა, რომ გულყრების გახშირება დაკავშირებული იყო ე.წ. "კრიტიკულ დღეებთან", ჰორმონების კონცენტრაციის ცვალებადობის გამო საჭირო იყო "კრიტიკულ დღეებში" დოზის გაორმაგება დადებითი ეფექტის მისაღებად.

მიუხედავად იმისა, რომ ამბულატორიულ-პოლიკლინიკური საქმიანობა არის პრიორიტეტული, ჯანდაცვის სისტემაში დიდი ყურადღება ეთმობა სტაციონარულ სამკურნალო საქმეს. ქება-დიდება ქირურგებს, რომლებიც უნიკალურ ოპერაციებს აკეთებენ! მაგრამ ბევრი დაავადება ხომ შეგვიძლია თავიდან ავიცილოთ. ჩვენი მიზანი უნდა იყოს ზემოქმედება მიზეზზე და არა შედეგზე. სასურველია გაფართოვდეს მედიკოსების საქმიანობა პროფილაქტიკური მედიცინის მიმართულებით. მსოფლიო ჯანდაცვის სისტემაში ჩამოყალიბდა პრედიქტიული, პრევენციული და პერსონალიზებული მედიცინა, რომლის აბრევიატურაა პპპმ [EPMA].

2011 წლის ნოემბერში ქ. ბონში ჩატარდა პრედიქტიული, პრევენციული და პერსონალიზებული მედიცინის ევროპის I კონგრესი. კონგრესში მონაწილეობდნენ ამერიკის და იაპონიის წამყვანი სპეციალისტებიც, ჩატარდა სექციური სემინარები თემაზე პპპმ და ონკოლოგიური დაავადებები, პპპმ და დიაბეტი, პპპმ თანამედროვე სოციუმში და სხვა.

იმედს გამოვთქვამ, რომ ქალთა რეაბილიტაციის ასოციაცია აქტიურად ჩაერთვება მედიცინის ახალი მიმართულების-პრედიქტიული, პრევენციული და პერსონალიზებული მედიცინის ფერხულში.

მისასალმებელი სიტყვა

წელი კაკულია

პროფესორი, საქართველოს ა.კაკულიას სახ. ფიზიოთერაპევტთა ასოციაციის პრეზიდენტი

მოგესალმებით საქართველოს ფიზიო-თერაპევტთა ასოციაციის სახელით.

ფიზიკური მედიცინის წარმომადგენლებისათვის დღევანდელი შეხვედრა ძალიან მნიშვნელოვანია. იგი საფუძველს დაუდებს ჩვენი დარგის გაფართოვებას და სარეაბილიტაციო სამსახურის დამკვიდრებას მედიცინის ისეთ აქტუალურ დარგში როგორც არის გინეკოლოგია. მიუხედავად ქვეყანაში არსებული პროფესიული კადრების სიმრავლისა და გინეკოლოგიურ დაავადებათა დიაგნოსტიკის თანამედროვე ტექნოლოგიებისა საქართველოში არ არსებობს ამ პაციენტთა სარეაბილიტაციო მომსახურება, რასაც აუცილებლად საჭიროებს მშობიარობის, ან პოსტოპერაციის შემდეგ ყოველი პაციენტი. სწორედ ამ საჭირო ნიშის შევსებას აპირებენ დღევანდელი კონფერენციის მასპინძლები.

შეგახსენებთ, რომ საქართველო კურორტების ქვეყანაა, აქ მრავლადაა არის წარმოდგენილი კლიმატური, ბალნეოლოგიური-სასმელი მინერალური წყლებით, თერმული სააბაზანო წყლებით, ტალახით სამკურნალო კურორტები; ყოველივე ამან განაპირობა ჩვენი დარგის წინამორბედი წარმომადგენლების მიერ ყოველი ფიზიკური ფაქტორის შესწავლისა და სამედიცინო მიზნით მათი გამოყენების მეცნიერული დასაბუთების უცილებლობა, ეს კი საფუძვლად დაედო ქართული კურორტოლოგიისა და ფიზიოთერაპიის სკოლის ჩამოყალიბებას, რომელიც ერთ-ერთ ყველაზე ძლიერ სკოლად ითვლებოდა ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის დროს და ამჟამად პოსტსაბჭოურ ქვეყნებში.

არსებობს მრავალი სამეცნიერო კვლევა, რომელიც მიეძღვნა როგორც ბუნებრივი ფიზიკური ფაქტორების, ასევე ელექტრო თერაპიის მოქმედების შესწავლას.

ამგვარად, საქართველოს აქვს ფიზიკური მედიცინის გამოცდილი და კარგი სკოლა, ჩვენი მეცნიერების მიერ შემუშავებულ და სამედიცინო პრაქტიკაში დანერგილ იქნა ფიზიკური ფაქტორების სამკურნალო თუ სარეაბილიტაციო მიზნით გამოყენების მრავალი ეფექტური მეთოდი, რომლებიც აქტუალობას დღემდე ინარჩუნებენ.

საქართველოს ფიზიოთერაპევტთა ასოციაცია დღეს ევროპის ფიზიკური და სარეაბილიტაციო მედიცინის ასოციაციის წევრია, ქართველი რეაბილიტოლოგები ყოველმხრივ ვცდილობთ არ ჩამოვრჩეთ თანამედროვე მედიცინას, მაგრამ სამწუხაროდ უნდა ვალიაოთ რომ სადღეისოდ სარეაბილიტაციო სამსახური საქართველოში არ არის სრულყოფილად წარმოდგენილი. თითქმის არ არსებობს სტაციონალური სარეაბილიტაციო მომსახურება. სამეცნიერო კვლევებმაც ამ მიმართულებით შედარებით უკანა პლანზე გადაინაცვლა. ჩვენ არ გვაქვს უფლება დავინყებთ მივცეთ და დავკარგოთ ეს გამოცდილება და საფუძველი, რაც ჩვენმა მასწავლებლებმა და წინამორბედ ქართველებმა მეცნიერებმა დაგვიტოვეს. აღსანიშნავია რომ

თბილისის სამედიცინო უნივერსიტეტში რამოდენიმე წელია მუშაობს ახალი ფაკულტეტი – ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის, რაც მომავლისთვის ამ დარგის სპეციალისტების გაზრდის საწინდარია; ხოლო რაც შეეხება მეცნიერებას მის განვითარებას სწორედ ასეთი კონფერენციები შეუწყობენ ხელს.

მიმაჩნია, რომ ჩვენი დღევანდელი შეხვედრა ნაყოფიერი და სასარგებლო იქნება, როგორც ქართველი ექიმებისათვის ასევე უცხოელი სტუმრებისათვისაც. იგი საფუძველს ჩაუყრის ამ დარგის სპეციალისტების შემდგომ მეგობრობას, ურთიერთ გამოცდილებას და აზრთა გაზიარებას, არამარტო დღეს არამედ მომავალშიც.

ამგვარად, მომავლისკენ იმედით ვიყურებით. მე კი ჩემი ასოციაციის სახელით გისურვებთ ნაყოფიერ მუშაობას, ქართველ ექიმებს მომავალ წარმატებებს, უცხოელ სტუმრებს კი ნაყოფიერ და სასიამოვნო დღეებს საქართველოში.

გმადლობთ ყურადღებისთვის!

ნათია შარაბიძე

მედიცინის დოქტორი, მეან-გინეკოლოგი, რეპროდუქტოლოგი

თ. შალია
მეან-გინეკოლოგი

ნ. ყაზახაშვილი

თსუ მედიცინის ფაკულტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის
დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი; ჩაჩავას კლინიკის
გენერალური დირექტორის პირველი მოადგილე

კვლევის მიზანი და ამოცანები: შრომის მიზანს წარმოადგენს რეპროდუქციული ფუნქციის აღდგენა ექტოპიური ორსულობის ქირურგიული მკურნალობის შემდგომ და კომპლექსური სარეაბილიტაციო პროგრამის შემუშავება და დანერგვა უნაყოფობის პრევენციისთვის.

საკვანძო სიტყვები: ექტოპიური ორსულობა, ქირურგიული მკურნალობა, ფერტილობა, რეაბილიტაცია

ჩატარებულია 16-დან 45-წლამდე 280 პაციენტის რეტროსპექტული კვლევა, რომლებსაც 2006 წლიდან 2011 წლის ჩათვლით ჩატარდათ ექტოპიური ორსულობის გამო ქირურგიული მკურნალობა “ჩაჩავას კლინიკა”-ში. ქირურგიული მკურნალობა ჩატარებული იყო უპირატესად ლაპარასკოპიული მეთოდით: ტუბექტომია ან ტუბოტომია და უფრო იშვიათ შემთხვევაში ლაპარატომიული მიდგომით.

დაკვირვება წარმოებდა ოპერაციის შემდგომ პერიოდში 1-დან 6-წლის განმავლობაში ჩვენს მიერ შედგენილი სპეციალური ანკეტის მიხედვით.

კვლევას გამოეთიშა 51 პაციენტი, რადგან ვერ მოვიძიეთ.

დარჩევი 229 პაციენტიდან გამოიყო ორი ჯგუფი. ძირითადი ჯგუფი - 116 ქალი, რომელთაც ჩატარდათ რეაბილიტაციური ღონისძიებები და შესადარებელი ჯგუფი - 113 ქალი, რომლებმაც ოპერაციის შემდეგ გამოკვლევები და რეაბილიტაცია არ ჩაიტარეს.

კვლევის შედეგების ანალიზით დადგენილია, რომ ექტოპიური ორსულობის ქირურგიული მკურნალობის შემდგომ სწორად შერჩეული რეაბილიტაციური ღონისძიებების შედეგად მნიშვნელოვნად უმჯობესდება ფერტილობის მაჩვენებელი. ძირითად ჯგუფში ფერტილობა აღდგა 51,7%-ში, ხოლო შესადარებელ ჯგუფში ფერტილობა აღდგა - 20,3%-ში

დასკვნა:

ჩვენს მიერ შემუშავებულია ექტოპიური ორსულობის ქირურგიული მკურნალობის შემდგომი პერიოდის მართვის ტაქტიკა- ოპტიმიზირებული, კომპლექსური და ეტაპობრივი ღონისძიებების გატარებით, რომელიც მოიცავს სამედიცინო, ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ რეაბილიტაციას.

ზემოთ აღნიშნული სარეაბილიტაციო კომპლექსური პროგრამის დანერგვა ექტოპიური ორსულობის გამო ჩატარებული ქირურგიული მკურნალობის შემდეგ, აუმჯობესებს მკურნალობის ეფექტურობას და ზრდის ფერტილობის მაჩვენებელს.

აბორტი მთელ მსოფლიოში კვლავ აქტუალურ პრობლემად რჩება. გამოკვლევების მიხედვით ყოველწლიურად 32 მლნ. ორსულობა მთავრდება სპონტანური აბორტით 20 მლნ. ხელოვნურ აბორტით. თვითნებითი აბორტების სიხშირე კლინიკურად დადასტურებული ორსულობებიდან შეადგენს 10-20%. აქედან 80% ში. სპონტანური აბორტი ვითარდება ორსულობის 12 კვირის ვადაში.

საქართველოში შეიმჩნევა აბორტების რაოდენობის ზრდის ტენდენცია. საკვანძო სიტყვები: სპონტანური აბორტი, შეწვეტილი ორსულობა, რეაბილიტაცია, რეტროსპექტული კვლევა.

მასალა და მეთოდოლოგია: ჩატარებულია რეტროსპექტული კვლევა, დამუშავებულია და შესწავლილია პაციენტების ისტორიები, რომლებმაც მიმართეს „ჩაჩავას კლინიკას“ 2006-2010 წლებში დიაგნოზებით შეწყვეტილი ორსულობა ან დაუმთავრებელი აბორტი. გამოთვლილია ცვლადი დონის მიზეზი, საშუალო სტანდარტული გადახრა, კორელაციური კავშირი, შეფასდა პროპორციული მაჩვენებლები წლების მიხედვით.

კვლევა:

შესწავლილია 762 პაციენტი დაუმთავრებელი და შეწყვეტილი ორსულობის დიაგნოზით. გამოიყო ასაკობრივი ჯგუფები, სადას სპონტანური აბორტების რაოდენობა 5 წლის სუმარული მონაცემებით განაწილდა შემდეგნაირად 16-25 წელი, 35%; 26-35 წელი, 40%; 36-45 წელი, 25%; ტროფობლასტური დაავადებების რაოდენობა: ნანილობრივი ბუშტნამქერი -76%, სრული ბუშტნამქერი - 13%, ანემბრიონემია - 8%, ნაყოფის განვითარების მანკი-15%. თვითნებითი აბორტი ორს. 12 კვირამდე დაფიქსირდა -30 % შემთხვევაში, გვიანი აბორტი - 14.8 %-ში. აღწერილია კორელაციური კავშირი მიმდინარე აბორტებს და ანამნეზში მქონე აბორტებს შორის $r = 0.97$.

დასკვნა:

ორსულობის ხელოვნური ან თვითნებითი აბორტის შემდგომი რეაბილიტაციის რაციონალური სტრუქტურა და მართვა დადებითად აისახება საქართველოს დემოგრაფიულ მონაცემზე. სწორად ჩატარებული აბორტის შემდგომი რეაბილიტაცია თავიდან აგვაცილებს შემდგომ არასასურველ ორსულობას, განმეორებითი ხელოვნური და სპონტანური აბორტების მაჩვენებლების შემცირებას, დედათა ავადობის და სიკვდილობის შემცირებას. აბორტის შემდგომი მოვლა გულისხმობს: კონტრაცეფციის მეთოდის შერჩევას, ანტიბიოტიკოპროფილაქტიკას, სგი სკრინინგს და პრევენციას, ფსიქოლოგიურ დახმარებას, რეზუს - კონფლიქტის პროფილაქტიკას.

მანანა რუხაძე

თსუ. სამედიცინო რეაბილიტაცია და სპორტის მედიცინა.
ასოცირებული პროფესორი

ფიზიკური ვარჯიშების გამოყენება ორსულობის დროს გამონეწულია თანამედროვე ქალის ფუნქციებით საზოგადოებაში: კერძოდ გააჩინოს ჯანმრთელი თაობა და თავადაც მალე დაუბრუნდეს თავის საქმიანობას, შეინარჩუნოს ჯანმრთელობა და ესთეტიკური სილამაზე. ფიზიკური ვარჯიშები ადამიანისათვის ბუნებრივ და ფიზიოლოგიურ ზემოქმედებას ეფუძნება და ხელმისაწვდომია ორსულთა უმრავლესობისათვის. საჭიროა მხოლოდ ზოგიერთი მითითების შესრულება. სწორედ ამ მიზანს ემსახურება წარმოდგენილი ნაშრომი, რომელიც გარკვეულ ლიტერატურულ მიმოხილვას ეყრდნობა.

მრავალი ავტორი ამტკიცებს, რომ ფიზიკურად აქტიური ორსულები უკეთ და უფრო ადვილად მშობიარობენ. შესწავლილია ფიზიკური ვარჯიშების ზემოქმედების რამოდენიმე მექანიზმი:

I. ორსული ქალებისათვის რეკომენდებული მსუბუქი ვარჯიშების შესრულებისას ვითარდება მსუბუქი ჰიპოქსია, როგორც ორსულის ორგანიზმში, ასევე პლაცენტასა და ნაყოფში. სწორედ ასეთი ხანმოკლე ჰიპოქსია აჩქარებს და აძლიერებს პლაცენტის ზრდას. სამეცნიერო ნაშრომებიდან (2001-2004წწ.) მტკიცდება, რომ ორსულის რეგულარული ფიზიკური ვარჯიში ხელს უწყობს პლაცენტის მოცულობის ზრდას და ახალშობილის წონის მცირედ მომატებას. დამტკიცებული იქნა აგრეთვე, რომ რეგულარულად მოვარჯიშე ორსულ ქალთა ჯგუფში სარწმუნოდ შემცირებულია II, III ტრიმესტრის ტოქსიკოზი და ნაყოფის განვითარების შეფერხების სინდრომი.

II. მსუბუქ ჰიპოქსიას უკავშირდება აგრეთვე, ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერების – ერთთროპოეტინის გამომუშავება, რომელიც განაპირობებს ერთთროციტების რაოდენობის ზრდას და შესაბამისად, როგორც ორსულის, ისე ნაყოფის ჟანგბადით მომარაგებას.

III. მაგრამ ძირითადი დადებითი ეფექტია ნაყოფის უზრუნველყოფა მშობიარობის დროს. სამშობიარო ჭინთვისას, ნაყოფი პრაქტიკულად სისხლის მომარაგების გარეშე რჩება. ამდენად ცხადია, რაც მეტია ერთთროციტების რაოდენობა ნაყოფის ორგანიზმში, მით მეტი ჟანგბადია მასში და მით უკეთ გადაიტანს იგი ჭინთვებისას განვითარებულ ჰიპოქსიას.

IV. ორსულობის დროს ვითარდება ქვედა ღრუ ვენაზე ზეწოლის სინდრომი და მისგან გამომდინარე შედეგები. ფიზიკური ვარჯიშები ასტიმულირებენ დიურეზს და მოვარჯიშეები ნაკლებად მიდრეკილები არიან შეშუპებებისაკენ. ორსულებში ფიზიკური ვარჯიშების დანიშვნას აქვს ჩვენებები და უკუჩვენებები და ჩატარების ფორმები (აერობიკა, კალანეტიქსი, კეგლის ვარჯიშები, ცურვა და სხვა).

ამრიგად, დოზირებული და თითოეული ტრიმესტრისათვის ადაპტირებული ფიზიკური ვარჯიშები წარმოადგენენ ეფექტურ საშუალებას სამედიცინო პათოლოგიის პრევენციისა და ორსულის წარმატებული მშობიარობისათვის.

თინა ძიტუაშვილი, თამარ ღარჯანი

ი. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
დ. ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტი, თბილისის სახელმწიფო
სამედიცინო უნივერსიტეტი

დაბერება ადამიანის გენეტიკაში ჩადებული ბუნებრივი პროცესია. დაბერებას ექვემდებარება ყველა, და ის ყველა ადამიანში განსხვავებულად ვლინდება. კანის დაბერების ბიოლოგიური პროცესი 20-25 წლის ასაკში იწყება. კანის დაბერებას ორი განსხვავებული პროცესი უკავშირდება: შიდა და გარე დაბერება. მათ შორის განსხვავება ის არის, რომ პირველი გამონეწულია გენეტიკური ფაქტორებით, რომელთა კონტროლი ჩვენ არ შეგვიძლია, ხოლო მეორე გამონეწულია გარემო ფაქტორებით, და მიუხედავად იმისა, რომ ორგანიზმის დაბერებას წინ ვერ აღვუდგებით, გარე დაბერების პრევენცია ან კონტროლი გარკვეულწილად შესაძლებელია. კანის შინაგანი დაბერების პროცესი უწყვეტია და წარმოადგენს ბუნებრივი დაბერების პროცესის ნაწილს.

კანის ამ სახის დაბერების ზოგიერთი ნიშანია:

- კანის გათხელება და გამჭვირვალეობა,
- სახეზე ნაოჭების, ღარებისა და ასაკობრივი ლაქების გაჩენა,
- კანქვეშა ცხიმის განლევა, რომელიც იწვევს ჩავარდნას ლოყებისა და თვალბუდეების არეში; აგრეთვე კანის ჩამოშვება, რომელიც ვითარდება სახის ძვლების ზომაში შემცირების გამო,
- კანი ხდება მშრალი, სიმშრალე კი იწვევს ქავილს. კანის გარე დაბერების ძირითადი ფაქტორებია:
- მზის სხივების ზემოქმედება. მზის ყოველდღიური ზემოქმედება რამოდენიმე წუთითაც კი იწვევს ცვლილებებს კანში: ლაქების, წვრილი ნაოჭებისა და კაპილარული ქსელის გაჩენას. საყურადღებოა, რომ კანის კიბოს მიზეზები უშუალოდ მზის ზემოქმედებაში უნდა ვეძიოთ.
- სახის განმეორებით მოძრაობებს ასევე შეუძლია წვრილი ღარებისა და ნაოჭების გაჩენა. სტრესი იწვევს წარბების შეჭმუხვნას, და თუ ეს მუდმივად ხდება, შეიძლება ნაოჭების გაჩენამ შეჭმუხვნილი წარბები შუბლისა და წარბების მუდმივ ნიშნად აქციოს.
- მეორე განმეორებითი ჩვევა დაკავშირებულია ძილის პოზასთან. სახეზე ძილის ხაზები შეიძლება გადაიქცეს ძლიერ თვალსაჩინო ნაოჭებად, თუ ადამიანს სახე ბალიშზე ერთიდაიგივე პოზაში უდევს ყოველ ღამეს წლების განმავლობაში.
- სიგარეტის მოწევა აჩქარებს კანის დაბერების პროცესს. ის იწვევს ორგანიზმში ბიოქიმიურ ცვლილებებს, რომლებიც ცვლის კანის თვისებებს და ბუნებას. მწვევლი სავარაუდოდ უფრო მიდრეკილია ღრმა ნაოჭების გაჩენისადმი, მისი კანი მოყვითალო შეფერილობას და ტყავისებულ ელფერს იძენს. მწვევლს აქვს ვიტამინი ჩ-ს ნაკლებობა, რომელიც ძირითადი ინგრედიენტია კანის ტენიანობისა და სისავსის შესანარჩუნებლად.

- ცხოვრების პასიური წესი. უმოძრაობა ხელს უწყობს კანის დაბერებას, რადგან ვარჯიში აძლიერებს კუნთების ტონუსს და სისხლის მიმოქცევას.
- ცივი ამინდის ზემოქმედება. ცივი ქარები და დაბალი ტემპერატურა ხელს უწყობს კანის დაბერებას მისი გამოშრობით.
- ძილის ნაკლებობა. ერთ-ერთი პირველი ადგილი, სადაც ძილის ნაკლებობის შედეგი ვლინდება, არის სახე მუქი ჩრდილებით და კანის მოღუნებით თვალების ქვეშ, ასევე მოჩვენებითი კანით.

შეჯამებისათვის უნდა ითქვას, რომ თუკი შინაგანი დაბერების პროცესის შეწყვეტა ან შეჩერება შეუძლებელია, არსებობს პრევენციული ზომები, რომლებიც შეიძლება გატარდეს კანის გარეგანი დაბერების საწინააღმდეგოდ.

ექტოპიური ორსულობის და აბორტის შემდგომი პერიოდის მართვა ჰისტომორფოლოგიური კვლევის შედეგების მიხედვით

რუსუდან ლორია

მედიცინის დოქტორი, მორფოლოგი

საშვილოსნოს ღრუს შეწყვეტილი ორსულობისა და გარე ორსულობის გართულებათა შორის მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ტროფობლასტურ დაავადებებს. ბუშტნამქერის პრობლემა ყურადღებას იპყრობს თავისი აქტუალობით, ვინაიდან აღნიშნული პათოლოგია საკმაოდ ხშირია და აზიანებს როგორც ჩანასახს (ინვესს მისი განვითარების შეწყვეტას), ასევე დედას, რაც შეიძლება მალიგნიზაციის მიზეზი გახდეს.

ბუშტნამქერის სისხირე სტატისტიკურად მნიშვნელოვნად განსხვავებულია სხვადასხვა ქვეყანაში, რაც დაკავშირებულია ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონესთან, ბუნებრივ პირობებთან, ეთნიკურ წარმომავლობასთან, ასაკობრივ ფაქტორთან და სხვ.

ჰისტომორფოლოგიური გამოკვლევა ბუშტნამქერის დიაგნოსტიკის ძირითადი მეთოდია. იგი ემყარება ქორიონის ბუსუსთა შემუშების ფენომენს და მისი მფარავი სტრუქტურული ელემენტების, პირველ რიგში, ტროფობლასტის უჯრედების, მდგომარეობის აღწერას. ამ პათოლოგიის დროს ტროფობლასტის უჯრედები განიცდის ჰიპერპლაზიას, ვლინდება მათი სხვადასხვა ხარისხით გამონატული ჰიპერპლაზია და პოლიმორფიზმი.

სს "ჩაჩავას კლინიკის" პათომორფოლოგიური ლაბორატორიის ხანგრძლივი მუშაობის მანძილზე ჩატარებული კვლევის შედეგად შეიძლება დავასკვნათ: ბუშტნამქერის დროს პროლიფერირებად უბნებში მკვეთრად მატულობს კამბიური ტიპის უჯრედების რაოდენობა, რომლებიც ავსებენ უფრო დიფერენცირებული უჯრედების - ციტო და სინციტიოტროფობლასტების პოპულაციას. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ისინი მონაწილეობენ ტროფობლასტური გენეზის სიმსივნეების განვითარებაში.

ბუშტნამქერის ზოგ შემთხვევაში ტროფობლასტის უჯრედების პროლიფერაციის არარსებობისას, აღნიშნული პათოლოგია შეიძლება არ მივაკუთვნოთ ტროფობლასტურ დაავადებათა რიცხვს, მაგრამ ამ შემთხვევებშიც აუცილებელია ქორიონული გონადოტროპინის ტიტრის მუდმივი კონტროლი, რამდენადაც მისმა ცვლილებამ შეიძლება გამოავლინოს ტროფობლასტური დაავადების განვითარება.

ბუშტნამქერის სხვადასხვა ფორმის ადრეული დიაგნოსტიკა და დროულად ჩატარებული კომპლექსური მკურნალობა განაპირობებს მალიგნიზაციის რისკის შემცირებას და დაავადების სრული განკურნების შესაძლებლობას იძლევა.

საკვანძო სიტყვები: ექტოპიური ორსულობა, შეწყვეტილი ორსულობა, ჰისტო-მორფოლოგიური კვლევა, ტროფობლასტური დაავადება, ქორიონული გონადოტროპინი.

დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობა 2000-2011 წლები

ნათა ყაზახაშვილი

ი.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი

მანანა ცინცაძე

დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი, ჯანდაცვის დეპარტამენტის პროფესორი

კვლევის მიზანია საქართველოში ახალი ათასწლეულის პირველი დეკადის განმავლობაში სქესობრივი გზით გადამდები დაავადებების გავრცელების ტენდენციების და დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობაზე მისი ზეგავლენის შესწავლა.

დაიგეგმა: 2000-2011წ. საქართველოში სქესობრივი გზით გადამდები ინფექციების – STI, ქალთა გენიტალური ორგანოების დაავადებების ახალი შემთხვევების, სპონტანური აბორტების, საშვილოსნოს გარე ორსულობის გამო ჩატარებული ოპერაციების რაოდენობის დადგენა; აღრიცხვაზე აყვანილ ორსულთა შორის სქესობრივი გზით გადამდებ ინფექციებზე რუტინულად გამოკვლეულთა რაოდენობის განსაზღვრა, ასევე ახალშობილთა ავადობისა და მოკვდაობის ამსახველი ინფორმაციის ანალიზი და სხვ. მიღებული მონაცემების შედარება როგორც სხვა ქვეყნების იგივე მაჩვენებლებთან, ასევე საქართველოს წინა წლების მონაცემებთან და ტენდენციების განსაზღვრა. კვლევის მიზანია უპასუხოს კითხვას რა ზეგავლენას ახდენს სგგდ ქალთა ჯანმრთელობის მდგომარეობაზე. როგორ ტარდება ორსულებში სქესობრივი გზით გადამდები ინფექციების კვლევა, მატულობს თუ არა სქესობრივი გზით გადამდები ინფექციების ახალი შემთხვევების რაოდენობა. მატულობს თუ არა პერინატალური დანაკარგები. ასევე გავცეთ პასუხი კითხვას: როგორ შეიცვალა ჯანდაცვის საინფორმაციო სისტემა და სტატისტიკური ანგარიშების გამოქვეყნების მდგომარეობა უკანასკნელი 10 წლის მანძილზე; უმჯობესდება თუ არა მისი ხარისხი დროთა განმავლობაში.

კვლევის პროცესში გამოყენებულ იქნა რაოდენობრივი კვლევის, შეკრების, სისტემატიზაციის, აღწერის, ანალიზის და შედარების მეთოდები. აგრეთვე სამეცნიერო კვლევის თემის ირგვლივ არსებული გამოქვეყნებული ინფორმაციის და ინტერნეტ-რესურსების კვლევის კაბინეტური მეთოდი.

2000-2011 პერიოდისთვის შედგენილია ცხრილები და გრაფიკები, წლების მიხედვით: სგგდ ახალი შემთხვევების რაოდენობა; ქალთა გენიტალური ორგანოების დაავადებების ახალი შემთხვევების რაოდენობა; სპონტანური აბორტების რაოდენობა, საშვილოსნოს გარეშე ორსულობის გამო ჩატარებული ოპერაციების რაოდენობა, შობადობა, პათოლოგიური მშობიარობის რაოდენობა, ნაადრევი მშობიარობა, სხეულის მცირე მასით დაბადებული ახალშობილების რაოდენობა, ახალშობილთა ინფექციების რაოდენობა და სხვ. და სხვ.

კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის მდგომარეობის ამსახველი ზოგიერთი მონაცემები გაუმჯობესდა, მაგრამ სტატისტიკურ მასალებზე დაყრდნობით შეინიშნება უარყოფითი ტენდენციები: იზრდება STI ახალი შემთხვევების რაოდენობა. მატულობს პათოლოგიური მშობიარობის რაოდენობა, არ კლებულობს ნაადრევი მშობიარობის რიცხვი. კვლევის შედეგების მიხედვით შეიძლება ვიფიქროთ, რომ STI –ის მატება, სხვა დეტერმინანტებთან ერთად მაღალ პერინატალურ დანაკარგებს განაპირობებს. დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის მაჩვენებლების ანალიზით გამოვლინდა, რომ შემცირდა განსხვავებები ოფიციალურად დეკლარირებულ მაჩვენებლებსა და სპეციალურად ჩატარებული კვლევების შედეგებით მიღებულ მონაცემებს შორის, შედარებით გაუმჯობესდა რუტინული სტატისტიკური მონაცემებისადმი ხელმისაწვდომობა. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ჯანდაცვის საინფორმაციო სისტემას ჯერ კიდევ ბევრი ნაკლი აქვს, რომელიც გამოსწორებას საჭიროებს.

სქესობრივი გზით გადამდები ინფექციები - STI, მშობიარობა, ნაადრევი მშობიარობა, სხეულის მცირე მასის ახალშობილები, სპონტანური აბორტები, საშვილოსნოს გარეშე ორსულობა. ჩვილ ბავშვთა მოკვდაობა - IMR, დედათა მოკვდაობა - MMR, მკვდრადშობადობა, პერინატალური მოკვდაობა.

ორსულობის პერიოდის ხასიათობრივი დარღვევის გავლენა მიჯაჭვულობის ფორმირებაზე

ზაზა პარლიაშვილი

ფსიქოთერაპევტი,
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორ-ასისტენტი

ოჯახი და საზოგადოება დიდ ყურადღებას უთმობს მომავალი თაობის აღზრდას, მათ ფსიქოემოციურ მდგომარეობას და ინტელექტუალურ შესაძლებლობებს. ბევრი ნაშრომი მიექცენა ე.წ. რთულ ბავშვებს, ჭირვეულობის მიზეზებს და მათთან ურთიერთობის პრინციპებს.

XX საუკუნის პირველ ნახევარში ასეთი ქცევის მიზეზად ტვინის ორგანული დაზიანება ითვლებოდა. 1918-1919წ. ჭირვეულობის აგრესიულობის და ჰიპერაქტიურობის მიზეზად სამშობიარო ტრავმა და იმ პერიოდში გავრცელებული ესპანური გრიპის ვირუსი მიიჩნეეს და ყოველივე ამას ბრაინ ინჯურედ სინდრომი შეარქვეს. 40-ან წლებში აღნიშნული მდგომარეობა ტვინის მინიმალური დისფუნქციის ტერმინით დამკვიდრდა.

70-ანი წლებიდან ფსიქოლოგების და პედაგოგების დადმა ნაწილმა ყურადღება მიაქცია იმას, რომ ჭირვეული და აგრესიული ბავშვების დად ნაწილს არ აღენიშნებოდა არანაირი ნევროლოგიური ან სხვა სამედიცინო დარღვევა, და, შესაბამისად დაიწყო ასეთი ქცევის მიზეზების ძიება.

ფსიქოლოგებმა აინსვორტმა, ბოულბიმ, შეფფერმა და სხვებმა ხანგრძლივი კვლევის შემდეგ ბავშვების აგრესიული და ჭირვეული ქცევის ერთერთ მიზეზად ჩათვალეს ადრეულ ასაკში დედაშვილს შორის ურთიერთობა. მოიხსენიეს ის მიჯაჭვულობის(ატტაცჰმენტ) ტერმინით და დაიწყეს იმის შესწავლა, თუ როგორ მოქმედებს ახდენდა მიჯაჭვულობის სხვადასხვა ტიპი ბავშვის ქცევაზე.

დაკვირვების შედეგად გამოიყო მიჯაჭვულობის 4 ტიპი-1. საიმედო-გვხვდება 65%. 2. არასაიმედო განრიდებითი-გვხვდება 20%. 3. არასაიმედო რეზისტენტული-გვხვდება 10% და 4. დეზორგანიზებულ დეზორიენტირებული- გვხვდება 5%. სწორედ მიჯაჭვულობის მე-4 ტიპის მქონე ბავშვებს ახასიათებს ყველაზე ხშირად ჭირვეული და ცვალებადი ქცევა. ასევე ადრეულ ასაკში აგრესია მშობლების მიმართ.

ჩვენი კვლევის ობიექტიც ბავშვების აღნიშნული ჯგუფი წარმოადგენდა. ვიკვლევდით 2დან 4წლამდე ბავშვებს, რომელთა მშობლებმაც მოგვმართეს ჩივილებით უმიზეზო ჭირვეულობაზე, აგრესიაზე მშობლის მიმართ, ძილის და კვების დარღვევასა და სხვა არანორმატიულ ქცევებთან დაკავშირებით. ბავშვების აღნიშნულ ჯგუფს გავლილი ჰქონდა კონსულტაცია ნევროლოგთან და პედაგოგთან, არ აღენიშნებოდათ სომატური პათოლოგიები.

ჩვენ ვადგენდით მიჯაჭვულობის ტიპს რუდოლფ შეფფერის კითხვარის მიხედვით, ხდებოდა დედების დეტალური გამოკითხვა მათი ფსიქოემოციური მდგომარეობის, ფეხმძიმობის მიმდინარეობისა და ბავშვთან ურთიერთობის შესახებ.

ამ ეტაპზე დავამუშავეთ მე-4 ტიპის მიჯაჭვულობის მქონე 43 ბავშვის მონაცემები. მათგან 18 ბავშვი იზრდება ძირითადად დედის

მეთვალყურეობით. 22 ბავშვის დედას აღენიშნებოდა ან ამჟამადაც აღენიშნება ხასიათობრივი დარღვევა. კერძოდ:

10-ს დეპრესია და მუდმივად იღებს მედიკამენტებს.

2-ს მშობიარობის შემდგომი დეპრესია მედიკამენტოზური მკურნალობით.

5-ს ორსულობის პერიოდის დეპრესია მკურნალობის გარეშე.

3-ს დეპრესიარემისიაშიპერიოდულიმედიკამენტოზურიმკურნალობებით.

